თანამშრომლობა ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის

მზადდება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა საშუალოვადიან პერსპექტივაში

ძნელად თუ რამ იქნება უფრო შესაფერი საიმისოდ, რომ გაეცნო საერთაშორისო მენეჯმენტის ორმხრივ სწავლებას, ვიდრე ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის (HTW Saar) სამაგისტრო პროგრამა "საერთაშორისო მენეჯმენტი". მიმდინარე ზამთრის სემესტრში თავდაპირველად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) სამმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის (HTW) ონლაინ-ლექციებში. პროფ.დოქტ. მატიას გროლის ხელმძღვანელობით (ზაარბრიუკენი). ამ პროცესში ასევე მონაწილეობდა აღნიშნული უნივერსიტეტების ურთიერთთანამშრომლობაზე პასუხისმგებელი პროფესორი, საპატ.დოქტ. ვილჰელმ ჰაუზერი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ასევე ჩააბარონ შესაბამისი გამოცდა HTW-ში და მიიღონ კრედიტ-ქულები, რომლებიც აღიარებული იქნება მათ მშობლიურ უნივერსიტეტში (სტუ).

თუმცა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ასევე იგეგმება პირიქითაც, კერძოდ, HTW-ს სტუდენტებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა სტუ-ს ლექციებში და არა მხოლოდ ონლაინ, არამედ ფიზიკურადაც ქ.თბილისში. ასევე, უნდა განხორციელდეს ქართველი სტუდენტების ფიზიკური დასწრება HTW-ს ლექციებზე.

ჰაუზერი: „ჩვენ გავარღვიეთ მნიშვნელოვანი სივრცე. აქ არ არის საუბარი მხოლოდ ტექნიკურ და ლოგისტიკურ ორგანიზებაზე საიმისოდ, რომ ერთი უნივერსიტეტის სტუდენტები დაუკავშირდნენ სხვა უნივერსიტეტის სალექციო პროცესს. ასევე შესათანხმებელი იყო შინაარსობრივი მხარე, რათა ერთ უნივერსიტეტში მიღწეული სასწავლო შედეგი ასახვას ჰპოვებდეს მეორე უნივერსიტეტის კურიკულუმშიც და მიესადაგებოდეს ამ უნივერსიტეტის

საგამოცდო პირობებს. უპირველეს ყოვლისა, მე მოხარული ვარ მაღალი მოტივაციითა და აქტიური ჩართულობით ბატონი პროფ. დოქტ. მალტე ბაინჰაუერისგან, ქალბატონი პროფ. დოქტ. შტეფანი იენსენისგან და საერთაშორისო ოფისის ხელმძღვანელის ქალბატონი როთ-ბასტიანისგან HTW-ს მხრიდან. ასევე ქალბატონი პროფ.დოქტ. თინა იაშვილისგან, რომელიც პასუხისმგებელია ამ პროექტზე სტუ-ს მხრიდან, ასევე სტუდენტი გიორგი აბესაძისგან ქ.თბილისში. HTW-ს ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი პროფ.დოქტ. შტეფან ჰუტერი გვერდში უდგას ამ პროექტს როგორც სიტყვით ასევე საქმით და ზრუნავს აღმოფხვრას ადმინისტრაციული დაბრკოლებები“.

აღნიშნული უნივერსიტეტები ერთმანეთთან თანამშრომლობენ 1989 წლიდან. რისი საფუძველიც იყო უკვე არსებული თანამშრომლობა ქ. ზაარბრიუკენსა და ქ.თბილისს შორის. ქალაქების ეს თანამშრომლობა დღესაც გრძელდება. რამდენიმე წლის წინ ურთიერთთანამშრომლობის არსებული მემორანდუმი საზეიმოდ განახლდა. რის შემდეგაც კონტაქტი და თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდა.